ცნობის ფურცელი

№ 1869 ოთხშაბათი, 17 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1869

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ჯაჭვის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივლისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 3 მან. და 50 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანმგეოსა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გაჭირვებული მდგომარეობა

არა ერთხელ დაწერილა და თქმულა სიტყვიერადაც, რომ ჩვენი „წ. კ. საზოგადოება“ მეტად შევიწროვებულია უსახსრობის გამო: არც ბიბლიოთეკა, არც მუზეუმი არა აქვს ხეირიანად მოწყობილი, არც წიგნებისათვის და არც ნივთებისათვის არ არის სახლი, შკაფები და ვიტრინები; „საზოგადოებას“ უჭირს არამც თუ ახალის სკოლის, არამედ ძველის სკოლების შენახვაც; „საზოგადოება“ ვერ სცემს წიგნებს, ვერ ბეჭდავს ძველს ხელნაწერებს; „საზოგადოებას“ არა აქვს საშუალება შეიძინოს ყველა წიგნი ჩვენის ქვეყნის შესახებ, არ ძალუძს ხელი გაუწოდოს მაჰმადიან ქართველებს არამც თუ ოსმალეთსა და სპარსეთში მცხოვრებთ, არამედ იმათაც კი, რომლებიც რუსეთში სცხოვრობენ და ჩვენთან ახლოს არიან. საითაც კი მიიხედავთ, ყველგან შებორკილია „საზოგადოება“. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მარტო უსახსრობა აბრკოლებდეს მის მოქმედებას, მაგრამ ყველასთვის უეჭველია, „საზოგადოებას“ რომ მეტი შეძლება მისცა, ორ წილ და სამ წილ მეტს გააკეთებდა. დღეს კი მისი შემოსავალ-გასავალი სწორედ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. მთელი მისი ბიუჯეტი 9000 მანეთამდეა. მხოლოდ (აქ არ გვაქვს სახეში ბათუმის, კავკავის სკოლები და ის ბიბლიოთეკები, რომლებიც ადგილობრივ საშუალებით ინახება და „საზოგადოება“ მარტო დახმარებას უჩენს); თუ აქედან გამოვრიცხავთ იმ 2500 მანეთს, რომელიც იხარჯება კანცელარიაზედ, მაშინ აშკარა იქნება, რომ 6500 მანეთის საშუალებით რა საზოგადოებაც უნდა იყოს, შორს ვერ წავა.

საყურადღებო ის არის, რომ „საზოგადოების“ კასსის შემოსავალი არამც თუ არ იზრდება, პირიქით, ბოლო ხანს თითქმის კლებულობს. შემოსავლის უმთავრესი წყაროებია: საღამოები და ბაზრები ტფილისში და სხვაგან, საწევრო ფული და წიგნის მაღაზია. წინად „საზოგადოებას“ ლატარია-ალეგრის გამართვის უფლება ჰქონდა და ეს დიდს ფულს აძლევდა, 1898 წლიდან კი უბრალო ბაზრებს ჰმართავს, რაიც მცირე შემოსავალს იძლევა. 1897 წ. ლატარია-ალეგრიმ მისცა „საზოგადოებას“ 2000 მანეთი, 1898 წ. ბაზარმა—1200 და 1902 წ. კი მხოლოდ 660 მანეთი. იკლო სხვა ქალაქებში გამართულ საღამოების შემოსავალმაც, ამ წყაროს შემოსავალი იყო 1898 წ. 3800 მანეთი, შარშან 3000; აქვე აღვნიშნავთ, რომ „საზოგადოებამ“ წელსაც მიიღო ჩვეულებრივ სოხუმიდან იქ გამართულის საღამოს ფული, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ფული გადაიდვას სოხუმის მომავალ სკოლისათვის, ამიტომ ამ საშუალებით „საზოგადოებას“ არ შეუძლია დღეს ისარგებლოს. წიგნის მაღაზიის მოქმედება უკანასკნელის ოთხის წლის განმავლობაში იყო ასეთი: წმინდა მოგება 1898 წლის—1589 მ., 1899—1868 მ. 1900—1917 მ. და 1901—1485 მან. როგორც ვხედავთ, წიგნების შემოსავალსაც უკლია. წინადაც გვითქვამს, რომ საწევრო ფულის შემოსავალმა იმატა, მაგრამ არა იმდენად, რომ სხვა დანაკლასი შეავსოს. კლებულობს ყულაბებით შეკრებილი ფულიც: 1898 წ. ყულაბებით შეიკრიბა 312 მან., 1899 წ. 361 მ. და 1901 წ.—85 მ. არის კიდევ ერთი წყარო, რომელიც, საუბედუროდ, არა შემოსავლის და მოგების, არამედ გასავლის და ზარალის წყაროდ შექმნილა „საზოგადოებისათვის“. ჩვენ ვამბობთ ფოტოგრაფიაზე, რომელმაც ხუთის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მისცა „საზოგადოებას“ მოგება, სხვა წლებში კი სუ ზარალს იძლევა... ასე თუ ისე, კასსის მდგომარეობა დღეს ისეთია, რომ „საზოგადოებას“ წლის ბოლოში მოელის 2500—3000 მანეთის დეფიციტი!

ვისი ბრალია ეს? გამგეობა ცუდად მოქცეულა, რომ რაკი სხვა შემოსავალმა იკლო, წიგნის მაღაზია არ გააფართოვა, რაკი ვერ მოაწყო ფოტოგრაფიის საქმე, არ გაჰყიდა მაინც და სხვ. გამგეობა არ არის მართალი, რომ არ გამოიჩინა მეტი მოქმედება და გამოცდილება, მაგრამ მართალია ქართველი საზოგადოება, რომელიც ასე დაუდევრად, გულ-ცივად ეპყრობა თავის ძვირფასს დაწესებულებას? წელს საწევრო ფული უნდა შემოვიდეს 4500 მანეთამდე, ნამდვილად დღემდის შემოსულა 866 მან. და 140 მან. კიდევ თუ შემოვიდა—ძალიან კარგი. ნუ-თუ სინიდისი ნებას მისცემს უსაყვედუროს გამგეობას იმ 600 წევრს, რომელთაც იმდენი მოქალაქეობრივი გმირობა ვერ გამოუჩენიათ, რომ თვეში ათი შაური გადაიხადონ „საზოგადოების“ სასარგებლოდ? რამდენია იმათში ისეთები, რომლებიც არამც თუ რამდენიმე შაურს, არამედ რამდენიმე მანეთს დახარჯავენ თვეში თავის პირადის უმნიშვნელო საჭიროებისათვის, ლხინში, რაიმე ბალში, ღვინოში, კარტში, მეტს განცხრომასა და ფუფუნებაში და ერთხელაც კი არ მოიგონებენ თავის მოვალეობას „საზოგადოების“ წინაშე? იმიტომ რომ საზოგადო საქმე არ შეუსისხლ-ხორცებიათ, არ ესმისთ, არ უდევთ გულში საზოგადო ინტერესი; ეს უკანასკნელი მათთვის მხოლოდ სიტყვაა, საპატიო სიტყვა, სადღესასწაულო ტანისამოსია, რომელსაც წამოისხამენ ხოლმე ხან-და-ხან, რომ თავი მოაწონონ სხვებს, იამაყონ, გაირთონ! ძალიან გვიყვარს სომხების დაცინვა, მედიდურად დავყურებთ მაღლიდან, მაგრამ განა წარმოსადგენია მათში, რომ უსახსრობის გამო სული ჰხდებოდეს იმ დაწესებულებას, რომელსაც ყოველმა კაცმა უნდა მიაწოდოს უკანასკნელი კაპეიკიც? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ „საზოგადოების“ წევრთა შორის ბევრია ისეთები, რომელთაც შეძლება აქვთ, მაგრამ რამდენიმე წელიწადი ერთი მანეთი ვერ გაუმეტებიათ „საზოგადოებისათვის“ და რომელთაც პირზე დღე-და-ღამ პატრიოტული სიტყვები აკრავთ, მუდამ ჩვენს დიდებას და სახელს გაიძახიან, ჩვენს ბრწყინვალე მომავალს, რომელთა გულები, მათის სიტყვით, შეუწყვეტლივ სძგერს ძვირფას სამშობლოსათვის! მაგრამ სიტყვა-სიტყვაა, საქმე სულ სხვაა!

ეს კიდევ ერთი უბედურება, რომ ასეთი სუსტი თანაგრძნობაა „საზოგადოებისადმი“. მაგრამ ეგ ცოტაა: „საზოგადოებას“ არამც თუ არავინ ეხმარება, წევრები არ იხდიან ფულს, „საზოგადოებას“ დღეს თავის წიგნის მაღაზიიდან აქვს გაცემული 7742 მან. ნისია, როგორც წევრებზე, ისე სხვებზე. ეს ვალი ახლა არ შემდგარა, არამედ დიდი ხნიდანაა დაწყებული. გამგეობა სწერს მოვალეებს ბარათებს, აგონებს ვალს, მაგრამ ფულს თითქმის არავინ იძლევა, ზოგი პირ-და-პირ უარზეა თურმე. ჩვენ გვითხრეს: ერთს საზოგადო დაწესებულებაზე ხუთი მანეთია დარჩენილი და ვერაფრით ვერ ავიღეთო. მევალეები არიან არა მარტო აგენტები, არამედ ძლიერ ბევრი აქვთ წაღებული სხვა პირებს, მასწავლებლებს, მოხელეებს და სხ. ქუთაისში ერთს შეძლებულს მასწავლებელზე რამდენიმე წელიწადია 6 მანეთია, მაგალითად, დარჩენილი, მაგრამ არ იხდის. საკვირველია: არამც-თუ ჩემი არ მომცე, პირიქით, კიდევ წამართვა! აქ არის განა საზოგადო საქმის გულ-შემატკივრობა?

არა! გამგეობამ დღეს არ უნდა მიჰმართოს პატრიოტულ გრძნობას, თავი დაანებოს ამ საშუალებით ფულის აღებას! ერთად-ერთი საღსარი დარჩენია—სასამართლოს შემწეობით გადაახდევინოს თავის მევალეებს ნისია.

გამხმი.

P. S. ჩვენ კიდევ მივმართავთ ჩვენის „საზოგადოების“ ჭეშმარიტ გულ-შემატკივართა მცირე რიცხვს: კიდევ უფრო გამოიღონ ხელი დ წარმოდგენის გამართვით, საწევრო ფულის მოგროვებით თუ სხ. დაეხმარონ „საზოგადოების“ დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას.

ვ.

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. როდესაც ბალფური პირველ მინისტრად დანიშნეს, ამ ამბავმა ბევრი გააოცა და ყველას ეგონა, რომ თითონ ჩემბერლენიც, რომელსაც სოლსბერის მოადგილეთ ასახელებდნენ, გულ-ნატკენი იქნება. მაგრამ ჩემბერლენმა ეს ამბავი გულზე არ მოიხვედრა და, როგორც ნამდვილ ინგლისელ ჯენტლმენს შეჰფერის, საუცხოვოდ მიიღო ბალფური და აღუთქვა სრული თავისი დახმარება. ახლა ბალფურს შემთხვევა მიეცა ჩემბერლენისთვის სამაგიერო გადაეხადა. ფულგამში წარმოთქმულ სიტყვაში დიდი ქებით მოიხსენია ჩემბერლენი. აი რა სთქვა: „არას დროს ინგლისს ასეთი კარგი დამოკიდებულება არა ჰქონია კოლონიებთან, როგორც დღეს. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ უპირველესად მადლობელი უნდა ვიყოთ კოლონიების მინისტრის პოლიტიკისა და მისის პიროვნებისა. მან რაღაც ახალი სული შთაბერა ამ სამინისტროს, გააცოცხლა იგი, არა მარტო ინგლისში, არამე ყველგან. ჩვენს უსაზღვრო იმპერიის კოლონიებში მას ახლა სულ სხვა თვალით უყურებენ, ვიდრე მაშინ, როდესაც მე პირველად გამოვედი საპოლიტიკო ასპარეზზე. ეს დიდი ცვლილება დამოკიდებულია ყველაზე უფრო სახელმწიფოს დიდის კაცის პოლიტიკაზე და მისს კერძო პიროვნებაზე, რომელიც დღეს განაგებს კოლონიების სამინისტროს“.

დაგვირგვინების დღესასწაულები და ცერემონია ძალიან შემოკლებული იქნება. მეტი შეწუხების თავიდან ასაცილებლად მეფე მოვა ლონდონს მხოლოდ ორი-სამი დღის წინად. საგვირგვინო ქადაგება და პარაკლისი აღარ იქნება, ასე რომ ღვთისმსახურება უესტმინსტერის სააბატოში ძალიან შემოკლდება. წინანდელის აზრით, დაგვირგვინების დღეს პარადში მონაწილეობა უნდა მიეღო სამოცდა შვიდი ათას ჯარის-კაცს, ახლა-კი ჯარის რიცხვი შემცირებულია 30 ათასამდე. ფლოტის დათვალიერებაც შედარებით უფრო შემოკლებული იქნება, თუმცა ჰგონიათ, რომ პარადში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის, გერმანიის, იტალიის და იაპონიის გემები.

✦ 8 ივლისს პალატაში ლაბუშერი შეეკითხა ბალფურს, მოხდება რამე ცვლილება ჰიკს-ბიჩის გამოსვლის შემდეგ ფინანსიურ პოლიტიკაში შესახებ კოლონიისა, თუ არაო. ბალფურმა უპასუხა, არაო.

საფრანგეთი. 7 ივლისს მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა პონსში. კომბი იცავდა სამინისტროს პოლიტიკას კონგრეგაციების შესახებ. მე იმიტომ ვიკისრე მინისტრობა, რომ ასოციაციების კანონი გავახორციელო. თუ ჩემმა პოლიტიკურმა მეგობრებმა ჩემზე მიუთითეს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეს იმიტომ მოხდა, რომ ისინი მე ისეთ კაცად მიცნობდნენ, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო ვალდეკ-რუსსოს კაბინეტის საქმის გაგრძელება. ჩემი პირველი ნაბიჯი თქვენ ნახეთ. ცდილობენ ჩვენ მოქმედებას ცილი დასწამონ და ძალადობისა, სასტიკობისა და მდევნელობის სახელი დაარქვან. მაგრამ საზოგადოების აზრი არ ეთანხმება ჩვენი მოქმედების ამგვარ ახსნას; ამას ამტკიცებს ის, რომ საზოგადოებამ მშვიდობიანად მიიღო განკარგულება ნება-დაურთველი სკოლების დახურვის შესახებ და თვით კონგრეგაციებმაც სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწიეს მას. რამდენისამე დღის შემდეგ ჩვენ გვეცოდინება რიცხვი როგორც იმ კონგრეგაციებისა, რომელნიც დაემორჩილნენ კანონს, ისე მათი, რომელთაც ურჩობა გაუწიეს მას და თქვენ განცვიფრდებით ამ უკანასკნელთა სიცოტავით. კონგრეგაციების წინააღმდეგი კანონი აუცილებელი შეიქმნა იმიტომ, რომ მათი რიცხვი მეტად გამრავლდა და თან ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერია. ეს კანონი რომ არ ყოფილიყო, ან მონარქია გამეფდებოდა, ან თეოკრატია.

✦ ერთის კონსერვატიურ ასოციაციის „აქსიონ ლიბერალ“-ის პრეზიდენტებმა გრაფ დე-მენმა და პიუმ პარიზის ქუჩებში გააკრეს განცხადება, რომელიც ასე იწყება: „მოქალაქენო! უმაგალითო ძალმომრეობა იხმარეს! 2500 სკოლა დახურეს, 5000 მასწავლებელი ქალი და კაცი გამორეკეს და ულუკმა-პუროდ დაჰყარეს!“. კონგრეგაციების სკოლების დაკეტვა ადამიანობის და თავისუფლების წინააღმდეგ ბოროტ-მოქმედებააო და ავტორები ხალხს იწვევენ შეერთდით და პასუხი გაეცით მდევნელებსო.

ინდოეთი. საფრანგეთის ინდოეთში, პონდიშერში, აგერ ორმოცი წელიწადია სხვა მრავალ საქველ-მოქმედო დაწესებულებათა შორის, რომელთა საგანია ეპიდემიასა, შიმშილსა და სიღარიბესთან ბრძოლა, არსებობს საექიმო აკადემიისებური დაწესებულება ადგილობრივ მკვიდრთათვის. ეს აკადემია დიდ შველას უწევს მთელ მხარეს. ერთი ფრანგული გაზეთი შემდეგს მოგვითხრობს. „ინდოეთის მედიცინას ჯერ ისევ ბუდამდე თავისი ესკულაპი ჰყავდა, მითოლოგიური აგოსტიარა. საექიმო ხელობას სწავლობდნენ ძველი ხელთ-ნაწერებიდან, რომელნიც მთელი საუკუნოები არსებობდნენ. ნახევარ-კუნძულის ჩრდილოეთით გამართული იყო საავადმყოფოები პროფესორებით, მოსწავლეებით, მოსამსახურეებით. რადგან აზიელი არიელი ტომის ხალხი დიდი დაკვირვებითის ნიჭის პატრონნი არიან, ამიტომ ავადმყოფობის ნიშნების გამოცნობამ უმაღლესს წერტილამდე მიაღწია.

როცა სახალხო განათლების საქმე კერძო კაცების —მისიონერებისა და ბრამინების ხელიდან მთავრობის ხელში გადავიდა, მაშინ უფროსი ექიმის ბოჟანის თაოსნობით კოლონიის გუბერნატორმა პონდიშერში საექიმო სკოლა დააარსა. სკოლის დირექტორად და მასწავლებლებად ადგილობრივი ექიმები იყვნენ. შემდეგში მისი პროგრამა გააფართოვეს, დაუმატეს და დღეს ეს სკოლა იძლევა ექიმებს, ბებია-ქალებს და ყვავილის ამცრელებს.

მოსწავლეთა რიცხვი 12—15 კაცია. კურსი ხუთი წელიწადია. ყველაზე დაწვრილებით, რასაკვირველია, ადგილობრივ ავადმყოფებს სწავლობენ. ზოგიერთი, ვისაც ეგზამენი დაუჭერია, საკოლონიო სასამართლოში სახელმწიფო სამსახურშია, მაგრამ უმეტესობა სოფლად მიდის და იქ, თუმცა მეტად მცირე შემოსავალი აქვთ, მაინც დიდ სამსახურს უწევენ სოფლელ ხალხს.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 16 ივლისს, პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თავ. დ. ზ. მელიქიშვილი.**

✦ საქართველოს ეგზარხოსმა შუამდგომლობა აღძრა მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ საგუბერნიო საეროზო გადასახადიდან ფული იქმნას გადადებული ზოგიერთ **სამრევლო სკოლასთან სასოფლო სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად.** ასეთ განყოფილების დაარსება ტფილისის გუბერნიაში ორ სკოლასთან არის განზრახული. ტირძნისის ორ-კლასიან და გომის სკოლებთან. თითო სკოლის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას წელიწადში მიეცემა 500 მანეთი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზე, განიხილა რა მოხსენება მოურავის მოადგილისა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფის **გ. პ. იანოვსკის გარდაცვალების** შესახებ, გარდასწყვიტა, შეამკონ განსვენებულის კუბო გვირგვინით და სამძიმარი გამოეცხადოს გარდაცვალებულის ჭირისუფლებს.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი ე. თაყაიშვილი ამ დღეებში გაემგზავრა ახალ-ქალაქის მაზრაში **საარქეოლოგიო გამოკვლევათათვის.** ბ-ნთაყაიშვილს თან ახლავს ფოტოგრაფი სხვა-და-სხვა შესანიშნავ შენობებისა და საარხეოლოგიო ნივთების გადასაღებად.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში სამინისტრომ გამოუგზავნა 5000 მანეთი ოძისის **მამულის და სკოლის** მოსაწყობად.

✦ მიწათ-მოქმედების კავკასიის სამმართველოს სამუშაოთა უფროსს მწარმოებელს **მ. ვ. მაჩაბელს** დაევალა ტფილისის გუბერნიის სახაზინო გლეხთა ყოფა ცხოვრების მოწყობა.

✦ ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია წესრიგი, როგორ უნდა მოხდეს **საბჭოს ხმოსნების არჩევანი.** არჩევანები მოხდება 26 სექტემბერს. ამომრჩეველთა სიებს გამოაქვეყნებენ 21 აგვისტოს. გამგეობამ უნდა შეადგინოს კანდიდატთა საერთო სია. ამ აზრით 21 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე იგი მიიღებს ამომრჩეველთაგან განცხადებებს და სიებს კანდიდატებისას. ასე შედგენილ სიას გამგეობა გამოაცხადებს ადგილობრივ გაზეთებში. კანდიდატებმა წინდა წინვე უნდა აცნობონ გამგეობას, თანახმანი არიან, თუ არა, კენჭის ყრისა. ვინც არ აცნობებს, სიიდან იქმნება გამორიცხული.

✦ მღვდლის თამარაშვილის მიერ შედგენილი **ქართველ-კათოლიკეთა ისტორია** ამ ჟამად იბეჭდება და მალე გამოვა კიდეც გასასყიდათ. ამ წიგნში მოთავსებულია ის მასალა, რაც საეკლესიო ისტორიას შეეხება. მღ. თამარაშვილს სამოქალაქო ისტორიის მასალაც შეუკრებია. ამ მასალის ბეჭდვასაც ახლო მომავალში შეუდგება.

✦ იერუსალიმიდან ცნობა მოგვივიდა, რომ ნ. ი. მარრი და ი. ა. ჯავახიშვილი აგვისტოს 15-მდე ძლივს შეისწავლიან იმ აუარებელს მასალას, რომელიც მათ ჰნახეს ამ ქვეყანაში. ქართულის მწერლობის ნაშთების მოკლე აღწერა დიდი წიგნი გამოვაო. ქართული კატალოგი გადააჭარბებს სიდიდით და ნომრების რაოდენობით თვით ასურულსა და არაბულს კატალოგებსაცკიო („ივერია“).

✦ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია აგვისტოში მოახდინოს საზოგადოების **რწმუნებულთა საზოგადო კრება.** ამ კრებამ დამატებითი თანხა უნდა გადასდოს საზოგადოების ახალ სადგომას დასამთავრებლად.

✦ როგორც შევიტყეთ, **ახალციხის** ქალაქის საბჭოს გადაუწყვეტია გამართოს ისეთივე ხორცის დუქანი, როგორიც ტფილისში არსებობს. ახალციხის ქალაქის მამასახლისმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას საჭირო ცნობები ამ საქმის შესახებ.

✦ 15 ივლისს „დვორცოვიე ნომრებ“-ში თავის ოთახში მკვდარი ნახეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების ნაწილის უფროსი ინჟენერი **ა. ლ. ფონ-ცრომშეცერი.**

✦ „ივერიას“ გაუგია, რომ საქარის სანერგეს მებაღეს ბ-ნ ჩივაძეს განუზრახავს სათავად-აზნაურო სკოლის მამულში სოფ. სკრას იჯარით აიღოს ოცი დღიური მიწა და გააშენოს ამერიკული ვაზის სანერგე ქართლ-კახეთში ამერიკული ვაზის ნამყენების გისავრცელებლად. ბ-ნ ჩივაძეს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს სასკოლო კომიტეტთან მოხსენებულ მამულის იჯარით აღების შესახებ.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ, „კავკ.“-ის სიტყვით, შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე **მდინარე ქორთხზე** გამართულ ხიდების შეკეთების შესახებ

✦ გუბერნატორმა ამას წინად დაამტკიცა ტფილისის საბჭოს გარდაწყვეტილება **ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობაზე** შეუძლებელ მცხოვრებთა მოსათავსებლად სახლის აგების შესახებ. დღეს, 17 ივლისს, გამგეობას და კომისიას ექნება შეერთებული სხდომა; ამ სხდომაზე გადასწყვეტენ, როდის შეუდგნენ აღნიშნულ შენობის აგებას.

✦ ხუთშაბათს, 17 ივლისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში, გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, **დანიშნულია სხდომა** საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ხორცის დუქნების მოწყობის საქმე. სხვათა შორის, კომისიამ უნდა განიხილოს ახლად შემუშავებული პროექტი ამ დუქნებში ანგარიშებისა და შემოსავალ-გასავლის დავთრების წარმოებისა.

✦ ტფილისის **საბოტანიკო ბაღში** დაწესებულ შტატების თანახმად, დირექტორს დაენიშნა ჯამაგირი წლიურად 3000 მან., ბოტანიკს—2000 მან., მებაღე-სპეციალისტს —1,200 მან., კონსერვატორს (თანამდებობაა) 1000 მან. ხარჯი უნდა გაისტუმრონ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის გადაწყვეტილის თანხიდან.

✦ ქალაქის გამგეობაში აღძრეს კითხვა, რომ შეადგინონ და გამოსცენ **ყველა საფურადღებო საქალაქო დადგენილებანი,** რაც კი ყოფილა ქალაქის საბჭოსაგან დადგენილი ქალაქის დებულების შემოღებიდან. ამის შედგენა გამგეობამ უნდა მიანდოს ქალაქის მდივანს ბ. ქრელაშვილს. ამ საქმისთვის გადადებულია 1000 მან.

✦ ქალაქის საექიმო-სასანიტარო ინსპექტორმა მოსთხოვა ბეითლებს მელქუმოვს და ტერ-სტეფანოვს, წარმოადგინონ საპასუხო განმარტება ერთს ადგილობრივს გაზეთში დაბეჭდილის ექიმ კლაუსის წერილისა **შესახებ დამპალის ხორცისა,** რომელიც ბეითლებს კარგ ხორცად უცვნიათ.

✦ ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, რომ იაღლუჯის საძოვრებზე ოთხმა **შეიარაღებულმა ყაჩაღმა** შეაჩერა ხუთი ფურგუნი და გაძარცვაო.

✦ ორშაბათს, 15 ივლისს, ტფილისის გუბერნატორის განკარგულების თანახმად, საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებამ სიღნაღის მაზრის სოფელ თუქურმიშაში გაგზავნა **საგუბერნიო ექიმის თანაშემწენი** ბ-ნი მაჭავარიანი და ბროძელი იქ გაჩენილ დიფტერიტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას გარდა ბ-ნს ბროძელს დაევალა სოფ. ქოდალოში დაათვალიეროს სასოფლო სამკურნალოს სადგომი. შემდეგ იგი უნდა გაემგზავროს თელავის მაზრაში, სადაც მაზრის ექიმთან ერთად უნდა გამოარკვიოს მიზეზნი ზოგიერთ ადგილებში მალარიის გავრცელებისა; შეჰკრიბოს ცნობები იმის შესახებ, რამდენი ზარალი მოაქვს ადგილობრივ მცხოვრებთათვის მალარიას და გამოარკვიოს, რა ზომები უნდა იქნას მიღებული ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ხელოსანთა კრების მიერ სარევიზიოდ ამორჩეული 12 კაცი. სარევიზიო კომისიამ 16 ივნისს უკვე დაიწყო **სახელოსნო გამგეობის საქმეთა რევიზია.** გუშინიდან შეუდგნენ შემოსავალ-გასავლის წიგნების განხილვას,

✦ ტფილისის ხელოსანთა მოურავის დასახმარებლად აქამდე ორ-ორი კაცი ინიშნებოდა ხოლმე სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად და გადასაწყვეტად. რადგან ხშირად ჰნიშნავდნენ წერა-კითხვის არ მცოდნე კაცებს, ამიტომ საქმე რიგიანად ვერა კეთდებოდა ხოლმე. რათა სახელოსნო გამგეობაში ყოველივე საქმე ჯეროვნად აიწონ-დაიწონოს, ხელოსანთა ახლად დამტკიცებულმა მოურავმა ბ-ნმა **რაფაილოვმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის** წინაშე, ნება მიეცეს 54 დეპუტატიდან 12 კაცი ამოირჩიოს, რომელთა დახმარებითაც განხილულ უნდა იქმნეს ხოლმე ხელოსანთა გამგეობის საქმეები.

✦ **„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“** კავკავის სკოლაში ორის მასწავლებლის თავისუფალი ადგილი ითხოვა რამდენმამე კაცმა. ერთი მასწავლებელი უეჭველად გალობის მცოდნე უნდა იყოს. თხოვნების განსახილველად გამგეობას ახლო-მომავალში ექნება სხდომა.

✦ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** მოსწავლენი სახელოსნო განყოფილებაში მუშაობისაგან გაანთავისუფლეს და დაითხოვეს აგვისტოს ოცამდე. სახელოსნო სასწავლებელში წელს სწავლა დაასრულა 30 მოსწავლემ. მათ უკვე დაურიგეს ოსტატის თანაშემწის მოწმობანი.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიას უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, განკარგულება მოეხდინა და გაეწმინდათ ობსერვატორიის კედელთან ადგილი ნაგავ-მიწისაგან, რადგან ამით ობსერვატორიის კედელი ძალიან ფუჭდება. გამგეობას ეს თხოვნა აქამდე არამც თუ არ აუსრულებია, არამედ სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს იქვე პატარა ღელეს წყალიც-კი მიუშვიათ კედლისათვის და უფრო წაუხდენიათ იგი. ობსერვატორიის გამგემ გუშინ ხელმეორედ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, უსათუოდ გააწმენდინონ ის ადგილი, წყალიც ღელეში გაუშვან. ამასთანავე გამგე ობსერვატორიისა სწერს ქალაქის გამგეობას, თუ ამ მოკლე ხანში არ გააკეთეთ ყოველივე ეს, იძულებული ვიქნები სხვა ღონე ვიხმაროო.

✦ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა ექიმმა ბ ნმა სუნდუკიანცმა ამ დღეებში წარუდგინა ანგარიში სასანიტარო სამკურნალოს საბჭოს. როგორც ანგარიშიდან სჩანს, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში უკანასკნელის თვის განმავლობაში სხვა-და-სხვა ავადმყოფობით ავად გამხდარა 46 მოსწავლე, ხოლო ტფილისის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოში—18. ექიმს 18 ავადმყოფის სახლი დაუთვალიერებია.

✦ „კავკ.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ზვენიგოროდის ქვეითა რაზმის კაპიტანი პოლზიკოვი დანიშნულ იქმნა სენაკის მაზრის სამხედრო ბეგრის საქმეთა უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

✦ კავკასიის-მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი ტროფიმოვი გუშინ, 16 ივლისს, ტფილისიდან კოჯორში წავიდა.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ შეატყობინა მოქალაქეთა გამგეობას, რომ საბჭოს დარბაზში ჩემ ნება-დაურთველად ნუ გამართავთ რწმუნებულთა კრებასო.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა კოჩზაევმა გამგეობის 1 განყოფილებისათვის შეიმუშავა საგუბერნიო დაწესებულებათა გვარად წესი შემოსავალ-გასავალ ქაღალდების აღსრულებისა.

✦ გუშინ, 16 ივლისს, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას სასწავლებლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1903 წლისათვის.

✦ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა რაფაილოვმა ხელოსანთა გამგეობის მოსათავსებლად დაიქირავა პოლიციის მე-5 ნაწილში ობშჩესტვენი ქუჩაზე მირზოევის სახლში სადგომი, №-13 კანცელარია ახალს სახლებში უკვე გადაიტანეს.

✦ 1 ივლისიდან 16-მდე ტფილისში სხვა და სხვა გადამდებ სენით ავად 16 კაცი გახდა. აქედან 6 ხურვებით ყოფილა ავად, 2 დიფტერიტით, 1 ყელ-ჭირვებით, 2 ყივანა ხველითა, ერთი წითელის ქარით და ერთიც ჭლექით.

✦ ტფილისის დედათა გადამდებ სენით საავადმყოფოში 8 ივლისისათვის ყოფილა 31 ავადმყოფი; 8 ივლისიდან 16-მდე მიუღიათ 5, მორჩენილა 2 და ამ ჟამადაც ავადაა 34. თავისუფალი ადგილი ამ საავადმყოფოში ამ ჟამად 21—ია.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის თეატრის მსახიობმა ვ. ბალანჩივაძემ, სცენის მოყვარეთა დახმარებით, იაფფასიანი სახალხო წარმოდგენა გამართა ამ თვის 13 რიცხვს. წარმოადგინეს: „ოინბაზი“, ერთ მოქმ. კომ. ა. ცაგარლისა, იმისავე ერთ-მოქმ. კომედია „ჭკუისა მჭირს“ და „მოჩვენება“ № სა. ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დაბრუნდა შინა, რადგან წარმოდგენამ მწყო-

ბრად ჩაიარა. ფასები: პარტერში იყო 12—40 კაპ., ბალკონზე—7—15 კაპ., გალერეა 7 კაპ. ლოჟები ხუთი კაცისა—3 მანეთი.

წარმოდგენას კიდევ გაიმეორებენ მოკლე ხანში

◆ ქალაქის გამგეობის განკარგულებით, უკვე შეუდგნენ კათოლიკეთა უბანში ქალაქის მოედნის მოკირწყვლას და ამ მოკლე ხანში კიდეც დაამთავრებენ. ვისაც ამ მოედანზე წვიმის დროს ერთხელ მაინც გაუვლია, მეორედ აღარ მოინდომებდა იქით წასვლას, ისეთი გაუვალი იყო ოღრო-ჩოღროებითა და სავსე ტალახითა. დღეს-კი გამგეობამ ეს გასაჭირი აგვაშორა. ნეტავი ამ გზას მალე არ მოშორდებოდეს ჩვენი ქალაქის მმართველები...

◆ ჩვენი მეეტლეები რომ მეტად გულ-გრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, ეს ყველასათვის ცხადია. მათის დაუდევრობის მსხვერპლი არა ერთი და ორი გამხდარა. ხშირად ეტლში აბამენ უვარგისს ცხენებს და ეტლებზე ასკუპებენ მცირე წლოვანსა და გამოუცდელს მეეტლეებს. 10 ივლისს, დილის ათ საათზე, ოლქის სასამართლოს ეზოში დაფთხნენ ცხენები მეეტლის პავლე გოგიტიძისა, რომელსაც მიეტოვებინა ეტლი და განცხრომას მისცემოდა ხის ჩრდილში. დამფრთხალმა ცხენებმა ეტლით ტფილისის ქუჩისაკენ გასწიეს. საბედნიეროდ უბედურება არა მომხდარა-რა. როგორც იყო, დაფეთებული ცხენები მიხეილის ქუჩაზე თვით-მმართველობის სადგომთან გააჩერეს.

◆ ქუთაისის წიგნებით მოვაჭრეებმა კარგი ხანია მიმართეს ქუთაისის სასწავლებლების მთავრობას, გვაცნობეთ რა და რა წიგნები მოვიმზადოთ და დავიბაროთ ამა სამოსწავლო წლისათვისო, რადგანაც ძველი წიგნები ბევრი ხმარებიდან გამოვიდა და მით მოგვეცით საშუალება, რომ დროზე წიგნები შევიძინოთო. სასწავლებლების მთავრობას ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობა თურმე არ მიუწოდებია და, ადვილად შესაძლებელია, საჭირო წიგნების მაგიერ სულ სხვა წიგნები დაიბარონ და მით სწავლა შეფერხდეს.

◆ ქუთათური ყასბები ეს რამდენიმე დღეა, რაც საქონელს საყასბოში ჰკლავენ წინა საღამოთი, დილის ოთხ საათზე ხორცს შინჯავს ქალაქის ბეითალი და მერე ბაზარში შემოაქვთ გასასყიდად. ამასობაში ხორცი ფუჭდება. ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია ბეითალს და ქალაქის გამგეობაში წინადადება შეუტანია: დაავალეთ ყასბებს, რომ საკლავი საქონელი დილის ოთხ საათზე დაიკლას, ექვსზე გაიშინჯება და ბაზარშიაც შემოიტანენ გასასყიდად. როდესაც ამ საქმის შესახებ ყასბებს აცნობეს, იმათ განაცხადეს, რომ ოთხ საათზე დაკლული ხორცი და ექვსზე გაშინჯული ბაზარში გასასყიდად შემოვა ათ საათზე, რაც დიდ უსიამოვნებას გამოიწვევს მკვიდრთა შორისაო. ყასბებმა ისიც დაუმატეს, ჩვენ ისევ ძველებურად გავაგრძობთ საქონლის ხოცვას; როცა დუქანში მოვიტანთ და გასაყიდად ჩამოვკიდებთ, მობძანდით, გაშინჯეთ და რაც უვარგისი გამოდგეს, რიონს მივართვათო. ვნახოთ, როგორ გათავდება საქმე.

რუსეთის ქრონიკა

◆ რადგანაც განზრახულია რუსეთის უნივერსიტეტების რეფორმა, საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია შეისწავლოს ის წეს-რიგი, რომელიც სხვა სახელმწიფოების უნივერსიტეტებშია მიღებული. ამ საქმისათვის სამინისტრო ჰგზავნის სამინისტროს საბჭოს წევრს პროფ. ბუდილოვიჩს საფრანგეთსა, გერმანიასა, ავსტრიასა და შვეიცარიაში და ოდესის უნივერსიტეტის საისტორიო ფაკულტეტის დეკანს პროფ. დერევიცკის—ინგლისსა და იტალიაში.

◆ „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია: გაძლიერებულ დაცვის წესები ნიჟნი-ნოვგოროდის შემდეგს მაზრებშიაც იქმნა შემოღებული: ნიჟნი-ნოვგოროდისა, ბალახნინისა, სემენოვსკისა და გორბატოვისაში. წესები დროებით არის შემოღებული 1 ივლისიდან 10 სექტემბრამდე.

◆ გზათა სამინისტრომ ნება დართო იმ რკინის გზებს, რომლებზედაც დაიარებიან მოსკოვსა და ტფილისს შუა შემოღებული განსაკუთრებული მსწრაფი მატარებლები, ზედ-მეტი ფასი გამოართვან მგზავრებს.

◆ დღეიდან, 17 ივლისიდან, აწ არსებულის ბაჟის ნაცვლად ახალი ბაჟი იქნება შემოღებული საქონლის გაგზავნა-გამოგზავნისათვის სახალხო და სახალხო საქონლის მატარებლებით.

◆ რუსს ლიტერატორთა კასას აზრად აქვს გაზეთის გამომცემელთ კასის სასარგებლოდ ფული გამოართვას ხოლმე უკვე გამოცემულ და დაბეჭდილ ამბების გადაბეჭსათვის. ამ საქმისათვის კასასთან კომისია შესდგა, რომლის მდივანიც ეხლა რუსეთში მოგზაურობს გაზეთის გამომცემლებთან მოსალაპარაკებლად. ზოგიერთ გამომცემელს ამბების გადაბეჭდვისათვის უკვე შეაქვთ ფული კასაში.

◆ სატეხნიკო განათლების საქმეების გამო არსებულ კომისიას შეუმუშავებია პროექტი განსაკუთრებულ სახელოსნო-სამხატვრო სახელოსნოებისა. აზრად ამ სახელოსნოებს, როგორც კომისიამ განმარტა, ექნებათ „სახელოვნო გემოვნების ამაღლება და ხელოსანთა და მათ შეგირთა შორის ურთი-ერთობის გაწეს-რიგება.“

◆ ამავე კომისიამ შეიმუშავა პროექტი დებულებისა და ქალთათვის განზრახულ სამხატვრო სახელოსნო კლასების შესახებ. სწავლის ვადა ამ კლასებში ორი წელიწადი იქნება. მიიღებენ ისეთ ქალებს, რომელთაც პირველ-დაწყებითი სკოლები ექნებათ დამთავრებული.

◆ შემოდგომიდან რუსეთის ზოგიერთ საკომერციო სასწავლებლის უფროს კლასებში შემოიღებენ იაპონურ ენის სწავლებას.

◆ წელს ფინანსთა სამინისტრომ თავისს ხარჯით გერმანიაში გაჰგზავნა კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის უფროს კლასის სამი სტუდენტი. ამ სტუდენტებმა უნდა იმეცადინონ საქსონიაში სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და მანქანების ქარხანაში. ეს ქარხანა საკისაა და დიდად ცნობილია მთელს ევროპაში. სამინისტროს უნდა სტუდენტებმა თავიანთ თვალით ჰნახონ და პრაქტიკულად გაიცნონ ის პროგრესი, რომელსაც სამრეწველო და სატეხნიკო საქმე ეღირსა ევროპაში.

◆ როგორ „ვარშ. დნევ.“-ი გადმოგვცემს, ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ცირკულიარი გამოუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: „ხელმწიფე იმპერატორმა შინაგან საქმეთა მინისტრის იმ მოხსენების გამო, რომელშიაც ნათქვამია, რომ პოლონეთის სასულიერო სემინარიებში კარგად ვერ არის დაყენებული რუსულის ენისა, სიტყვიერებისა და ისტორიის სწავლებაო, კეთილ ინება და ბრძანა, რომ საცდელად, დროებით, ის ყმაწვილი კაცები, რომელნიც სემინარიას გაათავებენ და მღვდლობას ან სხვა სასულიერო თანამდებობის აღსრულებას მოისურვებენ, მიღებულ იქმნან იმ შემთხვევაში, თუ წარადგენენ მოწმობას, რომ ზემოხსენებულ საგნებში დამატებითი ეგზამენი დაუჭერიათ. დამატებით ეგზამენი მსურველთ უნდა დაიჭირონ იმ პროგრამით, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწონებულია რომის-კათოლიკეთა სემინარიებისათვის. ეგზამენი უნდა დაიჭირონ იმ სწავლა დამთავრებულთ, რომელნიც ადგილობრივ გუბერნატორისა და სამოსწავლო მთავრობის აზრით რიგიანად არ არიან მომზადებულნი რუსულს ენასა, სიტყვიერებასა და ისტორიაში.“

◆ კიევში ნიაღვრის დროს, რომლის შესახებაც გუშინ ვწერდით, დამხჩვალა სულ 20 კაცი. ძალიან ბევრნი დაშავებულან კიდევ.

◆ რკინის გზის მუშათა და მოიჯარადრეთა შორის ურთ-ერთ დამოკიდებულების გასაწეს-რიგებლად გზათა სამინისტრო, გაზეთების სიტყვით, შეუდგა თურმე განსაკუთრებულ ზომების შემუშავებას.

პრესსა

„მოსკოვ. ვედომ.“-ი უკანასკნელ დრომდე მშვენიერს გუნებაზედ იყო: კლასიციზმს რუსეთში აღარაფერი უჭირსო—გაიძახოდა გაზეთი—და წინასწარმეტყველებდა, საშუალო სკოლის მომავალი რეფორმა თითქმის არ შეარყევს წინანდელს სისტემასაო. კატკოვისეული გაზეთი ნიშნს უგებდა „ლიბერალებს, რომელთაც მოიწადინეს კლასიციზმის დამხობა“:—წაგიხდათ საქმე და თქვენი სიხარული ნაადრევი იყოო. მაგრამ უკანასკნელ ხანში გაზეთმა ცოტა არ იყოს ხმა დაიმდაბლა; ისე თამად ველარ უკიჟინებს „ლიბერალებს“ და ისევ კლასიკურის სკოლის დაცვას მიჰყო ხელი. როგორც სჩანს, გაზეთს რამე გაუგია, თორემ ასე მოულოდნელად კილოს არ შესცვლიდა. უკანასკნელ №-ში გაზეთმა წინანდელ საშუალებასაც მიჰმართა: საზოგადოებასა და მთავრობას აშინებს, თუ კლასიციზმი ოდნავ მაინც შეარყიეთო, რუსეთში ეროვნულ განათლებას ადგილი აღარ ექნება და (horribile dictu!) რუსეთი გადაგვარდებაო! ასეთ ახირებულ აზრს გაზეთი ასაბუთებს ინგლისისა და გერმანიის მაგალითებით, რომელთაც ეროვნული სკოლა მხოლოდ კლასიციზმის საშუალებით შეჰქმნესო. არკვევს-რა ამ მაგალითებს, გაზეთი დასკვნის:

> ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ კლასიკურმა სისტემამ არა თუ არ დაჩაგრა ეროვნული განვითარება და კულტურა, რასაც ზოგიერთები მოელოდნენ, არამედ ხელი შეუწყო და საუკეთესო გავლენა იქონია ხალხთა ეროვნულ განვითარებაზე. იქ სადაც კლასიციზმი მკვიდრად და სერიოზულად იყო დაყენებული, სწორედ იქ შესანიშნავად განვითარდა ნაციონალური კულტურაც; პირ-იქით, სადაც კლასიკური სკოლა არ არსებობს, ან სადაც ხშირად არყევენ მის არსებობას, იქ ეროვნულ განვითარებასაც ვერ წაუწევია წინ.

გაზეთის ეს არგუმენტაცია სწორედ ფორმალური და გარეგნულია. ინგლისი და გერმანია მართლა ძალიან განვითარდნენ, მაგრამ რა წილი უდევსთ ძველ ენებს ამ განვითარებაში—გაზეთს არ უჩვენებია; დასამტკიცებელი კი სწორედ ეს იყო, ესე იგი, ის გარემოება, რომ ამ ქვეყნების განვითარებას კლასიციზმმა შეუწყო ხელი. დაუმტკიცებლად იმის თქმაც ხომ შეიძლება, რომ უკლასიციზმოთ ეს ერები გაცილებით უფრო წინ წასწევდნენ თავის კულტურას.

⁂

ამას წინად სტავროპოლის ერთმა მილიონერმა მესნიანკინმა შეურაცხყოფა მიაყენა უ-შას სუბბოტას. მუშამ სასამართლოს მიჰმართა. ამ ამბავმა მთელი ქალაქი შეაძრია: ყველა გაოცდა, როგორ გაჰბედა მუშამ ბ მილიონერს უჩივლაო; ყველა დაინტერესებული იყო, როგორ მოიქცევა სასამართლოო. სასიხარულოდ, და თავისდა სასახელოდ, სასამართლომ სასტიკად შეჰხედა მესნიანკინის საქციელს და ორის თვით დაპატიმრება მიუსაჯა. ამ სამართლიანს გარდაწყვეტილებას სიხარულით ეგებება ადგილობრივი გაზეთი „ტერსკ. ვედომ.“-ი, მაგრამ ამასთანავე სამართლიანის გულის წყრომით აღნიშნავს სტავროპოლის ადვოკატების საქციელს. ეს ვაჟბატონებიო, ამბობს გაზეთი, ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ გაემართლებინათ მდიდარი კლიენტი და ცილის მწამებლად გამოეყვანათ მუშა.

> ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებსო, სწერს გაზეთი, რომ ბევრ ჩვენებურ ნასწავლ ადვოკატს აღარაფრის რცხვენია და აღარაფრის მორიდება აღარ აქვსო. რა ნდობა უნდა დაიმსახურონ ხალხისაგან ამგვარ დამცველებმა? მაგრამ მათ ნდობას ჯანი გავარდეს, უბედურება ის არის, რომ თვით სასამართლოს ხალხის თვალში ეცხება ჩირქი მათ მოღვაწეობისაგან... თანამედროვე ადვოკატებს სრულიად დაავიწყდათ, რომ სასამართლოს რეფორმატორების აზრით, ადვოკატის მოვალეობაა მსაჯულთ დაეხმაროს სიმართლის გამორკვევაში. ახლანდელ დამცველთ-კი თავის მოვალეობად მიაჩნიათ,—როგორც უნდა იქნას, უთუოდ გაამართლონ ბრალდებული და ამისათვის კარგი სასყიდელი აიღონ...

⁂

„ნოვ. ობოზრ“-ს“გუშინდელს №-ში დაბეჭდილია ბ. ომ.—ის წერილი შავი-ზღვის ნაპირა რკინის გზის შესახებ. როგორც იციან მკითხველებმა, ეს გზა მალე უნდა გაკეთდეს და შეაერთოს შიდა რუსეთი ამიერ-კავკასიასთან. პროექტით გზა რუსეთიდან სოხუმში მოაწევს, იქედან გაგრძელებულ იქნება ახალ-სენაკამდე. ეჭვს გარეშეა, რომ ჩრდილოეთ კავკასიისა, სამხრეთ რუსეთისა და ამიერ-კავკასიის შეერთებას რკინის გზით მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებისათვის. ამას აღიარებს ბ. ომ.—იც, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ არჩეული მიმართულება მოსაწონი არ არის.

> ჯერ ერთი, ამბობს ავტორი, სოხუმიდან ახალ-სენაკამდე ეს გზა თითქმის უდაბნო ადგილებში გაივლის, რომელნიც ეკონომიურად არაფრით არიან შესანიშნავნი; მეორეც ის, რომ ეს გზა ტეხნიკურ სიძნელეთაც ბევრს აღმოუჩენს გზის მკეთებელთ: ამ გზაზე მეტად ბევრია მთის წყაროები, მდინარეები, ტბები და სხვა.

ამიტომ ამ მიმართულებით გზის გაყვანა ტყუილა დროსა და ფულის დაკარგვა იქნება და თითქმის არავითარ სარგებლობას არ მოუტანს ქვეყანასაო... უფრო აჯობებს მეორე მიმართულებაო: სოხუმიდან ზუგდიდზე შემდეგ სამეგრელოს ძველის გზით ხონზე და ბოლოს ქუთაისამდე.

> ეს ადგილებიო, განაგრძობს ავტორი, მჭიდროთაც არიან დასახლებულნი და სასოფლო-მეურნეობის მხრითაც შესანიშნავნიო... ნიადაგის სინოყიერე, მშვენიერი ტყეები და ბევრი სხვა გარემოება ხელს უწყობს ამ ადგილებში ეკონომიურ მდგომარეობის აღყვავებას, მაგრამ საქმეს აფერხებს უგზოობა... გარდა ეკონომიურის მნიშვნელობისა, ამ მიმართულებას ის უპირატესობაც აქვს ზემოდ აღნიშნულთან, რომ მაზე უფრო მოკლეა და შემოსავლიანიც იქნება, რადგან სამს მაზრას ემსახურება: ზუგდიდისა, რაჭისა (თუ ლეჩხუმისა?) და ქუთაისისას...

აღნიშნავს-რა ამა და სხვა უპირატესობათ, ბ. ომ—ი სამართლიანად ამბობს, რომ ქუთაისის გუბერნიის ეკონომიური საჭიროებანი მოითხოვენ—სერიოზულის ყურადღებით გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მიმართულება სჯობია ჩვენის ქვეყნისათვის: სოხუმ-ახალსენაკისა, თუ სოხუმ-ზუგდიდი·ონი—ქუთაისისა?!.

დაბა-სოფლები

ს. კვალითი (შორაპნის მაზრა). 23 ივნისს სოფ. კვალითში მობრძანდა მათი მეუფება ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. ამ დილით მათმა მეუფებამ სწირა ს. სვირში. იქ მიეგება შორაპნის საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინი დეკ. შ. დავით ლამბაშიძე. საღამოს 7 საათზე ყ-დ სამღვდელო იყო კვალითის წმ. ბარბარეს ეკკლესიაში. ეკკლესიის ეზო და ეკკლესია ძლივს იტევდა ხალხს. ლოცვის შემდეგ მათმა მეუფებამ განუმარტა მსმენელთ დღესასწაულის მნიშვნელობა, ამასთან ურჩია მრევლს ეკკლესიის შეკეთება და გამშვენება. ღამე მათმა მეუფებამ გაათია მღ. ბ. გველესიანის სახლში. 24 ივნისს მეზობელ სოფლებიდან იწყო ხალხმა დენა ახლად საკურთხ კვალითის წმ. ბარბარეს ეკკლესიის ეზოში. ეკკლესიის ეზო მთლად გაივსო ხალხით. ცხრა საათზე მობრძანდა მათი მეუფება და შეუდგა ეკკლესიის კურთხევის წესის შესრულებას. წირვის შემდეგ მათმა მეუფებამ ეკკლესიის ეზოში ქადაგება წარმოსთქვა. ადგილობრივ ეკლესიის საქმეთა რევიზიის შემდეგ ყოვლად-სამღვდელო მეზობელ სოფლებში წაბრძანდა ეკლესიების დასათვალიერებლად.

ახლად ნაკურთხი ეკკლესია აგებულია მთაში: სოფლიდან ერთის ვერსის მანძილზე. აქამდის იქ იყო ქვითკირის ეკკლესია, მაგრამ იგი მეტად ბნელი, ნესტიანი და ვიწრო იყო, ასე რომ გაჭირვებით იტევდა 50-80 კაცს. 1899 წ. მიწის ძვრისგან ეს ეკკლესია ძალიან დაზიანდა და თითქმის საშიშიც შეიქმნა წირვა-ლოცვისათვის. ამიტომ მრევლმა და კრებულმა მოიწვიეს ხუროთ-მოძღვარი ბ-ნი ვარცმინსკი, შეადგინეს გეგმა და აგეს ეკკლესია.

დამსწრე

წერილი განჯიდან

ქურდ-ბაცაცები

ამ ბოლოს დროს საოცრად გამრავლდნენ ქურდ-ბაცაცები ჩვენს ქალაქში. თუმცა წინადაც ძარცვა-გლეჯა ხშირი იყო ჩვენსკენ, მაგრამ ისე კი არა, როგორც ამ ზაფხულსაა. იმდენად გათამამდნენ ეს ვაჟბატონები, რომ დღისითაც კი არავის ერიდებიან. არ არჩევენ არც მდიდარს, არც ღარიბს; რასაც მოასწრებენ იტაცებენ და ჰყიდიან.

12 ივლისს, დილის 10 საათზედ, ვიღაც ბოროტ-მოქმედნი დასცემიან მართ-მადიდებელთა ეკკლესიის დეკანოზის სახლს და გაუძარცვავთ. დეკანოზი სააგარაკოდ იყო წასული და სახლში დარაჯი იყო მხოლოდ. დარაჯი ბაზარში პურის საყიდლად წასულა და როდესაც დაბრუნებულა ალაყაფის კარები, რომელიც რკინის ურდულით იკეტებოდა, ღია დახვედრია. გულ-გახეთქილი დარაჯი მივარდნილა სახლის კარებს, მაგრამ კლიტე აღარც იქ დახვედრია. ქურდებს გაუტეხიათ სკივრი, საიდანაც წაუღიათ ძვირფასი ნივთები, სულ 1500 მანეთისა. ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ ქურდები.

იმავე დღეს, საღამოს 9 საათზედ, დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ ამავე ეკკლესიის მედავითნეს ს. მჭედლიშვილს. ბოროტ-მოქმედებს ფანჯრები გაუღიათ, მაგრამ სახლში შებრძანება ვეღარ მოეხერხებინათ, რადგანაც მჭედლიშვილმა დროზედ მიუსწრო...

გ. ჩუტკერაშვილი

წერილი თელავიდან

წიგნთ-საცავის წევრთა კრება.

არასოდეს თელავის საჯარო წიგნთ-საცავს ისე არ აულაპარაკებია თელავის საზოგადოება, როგორც წელს. წინად წიგნთ-საცავის საქმეების განსახილველად თუ ერთი კრება კმაროდა, წელს რამდენისამე კრების გამართვა შეიქმნა საჭირო;

კომისიაც-კი ამოარჩიეს ზოგიერთ საქმეების გადასაწყვეტად: ყოველივე ამის მიზეზი კი, ეგრედ წოდებული, „ოპოზიციაა“. ოპოზიციონისტებმა, დაინახეს რა, რომ წელს ჩვეულებრივი საზოგადო კრება არ მოხდა, მიჰმართეს წიგნთსაცავის გამგეობას და სთხოვეს კრების დანიშვნა.

ამის შემდეგ კრება, როგორც იყო, დაინიშნა, რომელსაც მეორე კრება მოჰყვა; მეორეს—კომისია და კომისიას—კიდევ ორი კრება, რომლებზედაც ცხარე კამათი გაიმართა ოპოზიციასა და გამგეობის მომხრეთა შორის. ხოლო შედეგად კრებებს ის მოჰყვა, რომ გამგეობის წევრთ თ. დ. ვახვახიშვილმა და მ. აჯიმამუდოვმა უარი განაცხადეს თანამდებობაზე და სხვების ამორჩევა მოითხოვეს. ამ საქმისათვის 7 ივლისს მოხდა კრება კლუბის დარბაზში ბ-ნ ილია აბრ. ზარათიშვილის თავმჯდომარეობით. ვიდრე ამორჩევას შეუდგებოდნენ, ზოგმა იკითხა მიზეზი გამგეობის წევრთა მიერ თავის დანებებისა. ამის პასუხად თავად ვახვახიშვილმა სთქვა, რომ ბოლოს დროს გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები, რომელშიაც გამგეობის მოქმედებას ეხებოდნენ და ამბობდნენ, წიგნთ-საცავის დაქვეითების მიზეზი მარტო ის არისო. ამას გარდა, ჩვენი გადადგომის მიზეზი ეხლანდელი კრებებიც არისო. იმის სიტყვებს ბევრი გამოესარჩლა, ამტკიცებდნენ, რომ წიგნთ-საცავის წევრთ, ან გარეშე კაცთ, ნება არა აქვთ გამგეობას უკიჟინონ და მათ მოქმედებაზე გაზეთებში სწერონო. ბ-ნმა წერეთელმა უპასუხა მათ, რომ როგორც წევრთ, ისე კერძო კაცთ გაზეთში წერის უფლებას ვერავინ წაართმევსო.

ბოლოს, ბევრის ლაპარაკის შემდეგ, კენჭის ყრით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ ვლ. ედილაშვილი და ივ. კაკაბაძე.

დიმიტრაშვილი

წერილი გაგრიდან

ახალი გაგრა.—შენობები.—მოწყობილობა

გასცდებით თუ არა ათონს, გაივლით გუდაუთს, კიდევ სამიოდ საათის სავალსაც გასცალთ ზღვით და მარჯვნივ დაინახავთ კოპწია და კოხტა შენობებს. ეს გახლავთ ახალი გაგრა, მეზობელ ერთმოსახელე დაბის მახლობლად მდებარე. შენდება იგი მცირე დაღმართზე, ზღვის პირად. მარჯვნივ ჩამოუდის ცელქი მდინარე ჟუაკვარი, რომელიც იქვე უერთდება ზღვას. ერთ მხარეს აყუდებული აქვს მაღალი ტყიანი მთები. უკან შესდევს ვიწრო ჟუკვარის ხეობა. გაგრას თავისი წარსულიც აქვს: ჯერაც კარგადა სჩანს ვეებერთელა ციხე, რომელსაც დატანებული აქვს ძველის-ძველი პატარა ეკკლესია. გაგრას მრავალის საუკუნე გამოუვლია, უთუოდ ამიტომ ციხეს ხავსი გადაჰკვრია და ბალახში გახვეული აღარა სჩანს.

ეხლა ბედმა სხვა არგუნა გაგრას: მიუუხებულმა არე-მარემ სწორედ გაიღვიძა, გაჰკაფეს ჯაგნარი, ამოაშრეს ჭაობები, მოამზადეს ნიადაგი, მშვენიერი კოხტა სახლები გამოსჭიმეს და კოხტა გზა-ტკეცილები გაიყვანეს. ციცაბოზე ამართულია ვეებერთელა სასახლე პრინცესა ოლდენბურგისათვის. იქით, მის ძირას, გაჭიმულია ვეებერთელა სასტუმრო, იმის მახლობლად—თეატრის ორსართულიანი შენობა, ხოლო გვერდით—კოხტა რესტორანი. გემები უხშირებენ სიარულს; ეხლა დღეში რამდენიმე გემი შემოდის გაგრის ნავთსადგურში.

დღითი-დღე აწყდებიან მოაგარაკენი, უფრო კი შეძლებული ხალხი. ავტომობილები და პაწაწკინა ვაგონები აქეთ-იქით დასრიალობენ, ეტლებიც არ აკლია გაგრას. დილიჟნები ზედი-ზედ მოდიან და მიდიან. უკვე ტელეფონებია გაყვანილი ყველა სადგომში. ზევით სახელოსნო მუშაობს, ქვევით ელექტრონის მანქანა გუგუნებს და ღამე ელექტრონის დიდრონი ფარნები ანათებს. თვალს ახარებს მშვენიერი ჩაის პლანტაცია და ხეივნები.

გაგრაში ორი ექიმია, არის აგრეთვე აფთიაქი, საავადმყოფო და სავაჭრო მაღაზია. ამ ცოტა ხანში გაგრას საკუთარი მუსიკაც ექნება.

ლადო

უცხოეთის წვრილი ამბები

ბენჟამენ კონსტანის შარვალი. საფრანგეთის გამოჩენილი მხატვარი ბენჟამენ კონსტანი უმეტეს ნაწილად გვირგვინოსანთა და დიდებულთა სურათებს ხატავდა ხოლმე.

დედოფალი ვიქტორია, პაპი ლეონ მეცამეტე, მოროკოს სულთანი და სხვა მეფეები და დედოფლები სულ ყველანი საფრანგეთის ამ გამოჩენილ მხატვარს შეუკვეთამდენ ხოლმე თავიანთ სურათების დახატვას.

სხვა ჩინებულ ნაწარმოებთა შორის ბენჟამენ კონსტანის ხელოვნებას ეკუთვნის ომალის ჰერცოგის დიდებული სურათი.

ერთი პარიზელი გაზეთი სასაცილო ამბავს მოგვითხრობს, რომ ჰერცოგს შემთხვევია, როდესაც ის ბენჟამენ კონსტანთან დადიოდა ხოლმე თავის სურათის გადასაღებად.

კონსტანის სახლის მეთვალყურემ არ იცოდა, ვინ იყო ის კაცი, რომელიც იმის ბატონთან ასე ხშირად დაიარებოდა. იმას ეგონა, რომ ეს უბრალო ვინმე იყო, რომლისაგანაც იმის ბატონი სურათებს ხატავდა და გასამრჯელოს აძლევდა

როდესაც ეს მოხუცი თეთრ წვერულვაშით მოვიდოდა ხოლმე, ისა და მეეზოვე ერთმანეთს ჩვეულებრივ სალამს აძლევდენ ხოლმე.

ერთხელ, როდესაც ჰერცოგი ჩვეულებრივ მოდიოდა, მეეზოვემ შემდეგის სიტყვებით მიმართა:

— გამიგონეთ, მეგობარო, რადგანაც თქვენ ჩემი ბატონის სახელოსნოში მიდიხართ, გაისარჯეთ და ცოტაოდნად დამავალეთ.

— დიდის სიამოვნებით, რაშია საქმე; ცნობის მოყვარეობით ჰკითხა ჰერცოგმა.

— ეს თქვენთვის საძნელო არ იქნება და მე კი გადამარჩენთ ამ სიმაღლე კიბეზე აბობღებას. ეს არის ეხლა დერციკმა ჩემი ბატონის კონსტანის ახალი შარვალი მოიტანა, და, თუ შეიძლება, აუტანეთ, დიდი მადლობელი ვიქნები.

— დიდის სიამოვნებით! მიბოძეთ—ღიმილით უპასუხა ჰერცოგმა,—გამოართვა შარვალი და წიალწიალით წაუღო მხატვარს სახელოსნოში.

— ეგ რა მოგაქვთ, თქვენო უმაღლესობავ?—გაკვირვებით ჰკითხა ბენჟამენ კონსტანმა.

— ეს.. არაფერი, თქვენი ახალი შარვალია, სხვა არაფერი. თქვენმა მეეზოვემ დამავალა, რომ ეს იმისი თხოვნა შემესრულებინა.

— მომიტევეთ, ღვთის გულისათვის, თქვენო უმაღლესობავ, იმან არ იცის, ვინა ბძანდებით!

— რა ბძანებაა, არაფერიც არ არის! ლაპარაკად არც კი ღირს. ამ სიტყვების შემდეგ ჰერცოგმა და მხატვარმა გულიანად გადიხარხარეს.

* *

ოსმალეთის სულთანის გაუფრთხილებლობა. ის, რაც დიდებულ სახელმწიფო მოღვაწეთ ვერ მოუხერხებიათ, ქალისთვის ძალიან ადვილი და უბრალო მოსახერხებელია. ოსმალეთში ძალიან იშვიათ მოვლენადა სთვლიან, რომ სულთანმა თავის ხელით რამე ქაღალდს თავისი სახელი მოაწეროს. სახელმწიფო ქაღალდებს და ოქმებსაც კი ძალიან იშვიათად აწერს ხელს სულთანი.

ამ დღეებში სულთანს მიწვეული ჰყავნდა სადილად ამერიკის ელჩი მისტერ ლეიშმანი მეუღლით. სადილზე სულთანი გამხიარულდა და ელჩის ცოლს არშიყობა დაუწყო. ქალმა სთხოვა სულთანს, თავისი ხელმოწერილი მიეცა იმისთვის. მართლმორწმუნეთა ბრძანებელმა დაუყოვნებლივ აუსრულა ქალს სურვილი და კარანდაშით მარაოზე წაუწერა თავის სახელი. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მეორე დღეს ამერიკის ელჩთან მივიდა სულთანის ადიუტანტი და სთხოვა, რომ სულთანის ხელმოწერილი დაებრუნებინათ, ვითომ იმისთვის, რომ კარანდაშით იყო დაწერილი და ეხლა მელნით უნდა დაეწერა... უფრო კარგად. ამ დოკუმენტის ნაცვლად, რომელიც ასე წინდაუხედავად მისცა ქალს, ეხლა სულთანმა გამოუგზავნა იმას თავისი სახელი ბრილიანტებისაგან აწყობილი. ამითი მართლ-მორწმუნეთა ბრძანებელმა გამოისყიდა თავისი შეცდომა.

* *

მეფის თმები. ამ დღეებში ვაშინგტონში (ამერიკაში) დაბრუნდა ინგლისიდან 82 წლის ზანგი, რომელიც ძალიან გაჯავრებულია და შეწუხებული, რომ ინგლისის მეფის გვირგვინის კურთხევა არ მოხდა. ამ დღესასწაულისათვის ის ზანგი ემზადებოდა 1861 წლიდან, როდესაც ეხლანდელი მეფე ინგლისისა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზდა ვალიის პრინცი ამერიკაში მოგზაურობდა გრაფის სახელით. როგორც გამოჩენილი პარიკმახერი, ეს ზანგი პრინცს ემსახურებოდა გემზე და ერთხელ, როდესაც თავსა ვარცხნიდა პრინცს, სახსოვრად თმა (კავი) შეაკვეცა. ამ თმას ზანგი აქამდის ინახავდა და, როცა ინგლისში წამოვიდა, ეს თავის ძვირფასი განძიც თან წამოიღო, რომ პირადად მეფისთვის გარდაეცა. მაგრამ დღესასწაული არ მოხდა და გულნაკლული და ნაღვლიანი ზანგი ამერიკაში დაბრუნდა. იმას მაინცა აქვს იმედი, რომ მეფეს დაუბრუნებს თმას, თუ ამ წელს მოხდება გვირგვინის კურთხევა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი

პეტერბურგი. 14 ივლისს ავსტრიის სამხედრო კრეისერის უფროსმა და ოფიცრებმა დაათვალიერეს პეტერჰოფი და პეტერჰოფის სასახლე.

დღეს კრასნოე სელოში იდღესასწაულეს დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელ-წოდების დღე. დღესასწაულს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, საბერძნეთის დედოფალი, საბერძნეთის მეფის შვილი ნიკოლოზი და სამეფო საგვარეულო პირნი. წირვის შემდეგ სასახლეში გაიმართა საუზმე. საუზმის შემდეგ იმპერატორი პეტერჰოფში წაბძანდა რკინის გზით; ცოტა გვიან წაბძანდა დედოფალიც მარიამ თეოდორეს ასული.

15 ივლისს საბერძნეთის მეფის შვილს ნიკოლოზს წარუდგა კრასნოე სელოს გლეხთა დეპუტაცია და პურ-მარილი მიართვა. სოფლის მამასახლისმა ანიკინმა მიულოცა მეფის შვილს მშვიდობით მობრძანება რუსეთში და დიდს მთავრინაზე ელენე ვლადიმირის ასულზე დანიშნვა. მეფის შვილმა მადლობა გადაუხადა დეპუტაციას.

ხარკოვი. თიბვა დასრულდა. მემამულენი ამბობენ, რომ სამი წლის საზრდო მოუვიდათ. ზოგ ადგას მეტის მეტი კარგი მოსავალია.

პარიზი. მთელ გუშინდელ საღამოს დიდი მოძრაობა იყო. „თანხმობის“ მოედნიდან, როიალიდან და მადლენის ბულვარიდან პოლიციამ რამდენჯერმე გარეკა ხალხი. ასამდე კაცი დაატუსაღეს, იმათგან ოთხი არ გაანთავისუფლეს. მძიმედ დაჭრილები თორმეტი კაცია.

კრონშტადტი. დღეს ვიცე-ადმირალმა მაკაროვმა სადილი გაუმართა ავსტრიის, საბერძნეთის და არგენტინის სამხედრო გემების ზღვაოსანთ.

16 ივლისი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება პოლონეთში უძრავ მამულებზე სახაზინო გადასახადის კანონების შეცვლის შესახებ.

ნოვო-ალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი ბელიევი დაინიშნა კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად.

ოცდა-მეექვსე ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალ ლეიტენანტი სპოლიცა დაინიშნა დაჭრილთა სამზრუნველო კომიტეტის წევრად.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გაიხსნა იარმუკა, ვაჭრები ბევრი მოვიდა.

კურსკი. სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტის პირველი სხდომა შესდგა.

ეკატერინოდარი. საძირკველი ჩაჰყარეს საბჭოსი, გამგეობისა, საქალაქო ბანკისა და ობოლთა სასამართლოს შენობისა, რომელიც ეღირება 120,000 მან.

ბელგრადი. სტანევიჩმა გამოუცხადა რადიკალთა კრებას, რომ პრეზიდენტის თანამდებობას თავს დაანებებს. კრებამ მხედველობაში მიიღო.

ლონდონი. ბიულეტენი. მეფე ძალიან კარგად ჰგრძნობს თავის თავსა. ტახტიდამ მოძრავ სავარძელში გადაიყვანეს.

ბელგრადი. დღეს მეფეს წარუდგა სკუპშჩინას პრეზიდენტი სტანევიჩი და მოახსენა, რომ მზად არის თავის თანამდებობიდან გადადგეს, მხოლოდ ჯერ ესეთი ჩემი სურვილი რადიკალთა დეპუტატების კრებაზე უნდა განვაცხადოო.

პარიზი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მოუვიდა, რომ ორმოც-და-ათ დეპარტამენტში კონგრეგაციები თავის ნებით დაიკეტნენ, ასე რომ მთავრობის წარმომადგენელთ ძალა არ უხმარიათ.

ბერლინი. იაპონიის პრინცი კომატსუ პეტერბურგს წავიდა.

ლონდონი. შინხაიდამ გაზ. „ტაიმსს“ ატყობინებენ, რომ ინგლისის კომისიისა და მაკაის მოლაპარაკება ჩინეთის ვიცე კოროლებთან დასრულდა და უმთავრესს საგნებში შეთანხმდნენ. მერვე მუხლის შესახებ მაკის თანხმობა ჯერ არ გამოუცხადებია; ამ მუხლით დადგენილია, რომ ჩინეთი დამატებითი ბაჟს იღებს ერთნახევრჯერ იმაზე მეტს რასაც, აქამდე იღებდა და უარს ამბობს შინაურ ბაჟის აღებაზე და ინგლისის საქონელზე ყოველსავე გადასახადზე. ეს პირობა ძალაში შევა 1904 წლის იანვრიდან.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამი 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37$_{50}$ ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონრინი“ მ. ვ. ლებედევისა,

ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

ისყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.

(ნ. 25—0).

ტფილისიდან გასვლის გამო ვყიდი ჩუღურეთში

იაფად

სახლს.

მსურველს ვსთხოვთ მიჰმართონ „ცნობის ფურცლის“ კანტორაში, შუადღის 12 საათიდან ვიდრე 3 საათამდის. (10—8)

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 16 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).